

ღուժ. Տյաղական օֆիս



Խօնելով
Ճռճծուցիք ու
Եղածնեցոչույնութեան







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამოცემლობა: 1585
ჯიბის წიგნები: 132

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიმ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/18

ISBN: 978-605-7519-35-1

2019-06-Y-0003-1585

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. Ihr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამოცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

საქონლას პობილება და
ზოგონების მიუწვდომელი



ღმრთ. მუხამედ აფხაზ



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

I. მოხმარება და მორალური პრინციპები • 12

1. მოხმარებისას ძირითადი • 14

**2. შემოსავლის მატებასთან ერთად არ უნდა დავარ-
ღვიოთ მორალური პრინციპები • 17**

3. ლეგიტიმური ჩარჩოების დაცვით • 21

4. ზედმეტი ხარჯვისგან თავის შეკავება • 27

5. მოჩვენებითობა და ამპარტავნება • 36

6. სიმდიდრის შედეგად გაამპარტავნება • 44

7. არა ძუნწობა, არამედ ხელგაშლილობა • 46

8. ხარჯვისას ზომიერების დაცვა • 52

II...და ბოლოს • 54

სანდოულური კონკურსი

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებული არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან თჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუოუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებობა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

საქონლის მოხმოვნება და ზედამხურებელთა

ლებები და გვისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ლირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიდარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი სალხებს შორის ურთიერთობის გადრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ
ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ
ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებ-
ბით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქვდან,
ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ
და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უძვე-
ლია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ღირებულება ისლამია, რომელიც რამ-
დენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში,
კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქო-თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების
მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-

საქონლის მოხმოვნება და ზღვისუფლების უფლება

ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ეველამ ერთად ვიბრძოდოთ.

შესახვა

დღეისათვის მოხმარების კულტურა ადამიანურ და მორალურ ღირებულებებს გასცდა და კულტურული და სულიერი ფასეულობებისგან დაიცალა. ირგვლივ გამუფებულია გულგრილობა და სხვისი ჭირის არად ჩაგდება. ამგვარი მდგომარეობა ქმნის ადამიანის ტიპს, რომელიც ბედნიერებას მხოლოდ და მხოლოდ შეძენასა და მოხმარებაში ხედავს.

წარმოებისა და მოგების გაზრდის მიზნით მოხმარების გაზრდაა საჭირო და საამისოდ მრავალი სახის საკომუნიკაციო საშუალებებია გამოყენებული. ეს ყველაფერი კი ხელოვნურად შექმნის მოთხოვნილებებს წარმოშობს. აღნიშნული მდგომარეობა ოკის მხრივ ცვლის ღირებულებათა საზომს. წარმოიქმნება სიტუაცია, რომლის დროსაც მომხმარებლობა პრივილეგიად ითვლება და ადამიანი რაც უფრო ძვირადღირებულ საქონელს მოიხმარს ეს სიამაყის და ამპარტავნების მიზეზი ხდება. ეს კი ადამიანების ერთგვარ კლასობრივ დაყოფას იწვევს.

ამ რბოლასა და შეჯიბრში ადამიანები ხშირად საკრედიტო ბარათებს იყენებენ და იხდიან პროცენტებს, ვარდებიან უაზრო ვალებში, რათა ტენდენციას არ ჩამორჩნენ.

საქონლის მობილური და ბლოკირებულის

უფრო მეტიც, ზოგიერთი ადამიანი რამოდენიმე წლის შემდგომ მოსალოდნელ შემოსავალს თავიდანვე ხარჯავს და ამ გზით თავის მომავალს, როგორ წესი იპოთეკაში დებს.

ზედმეტი და უსისტემო ხარჯვა გარდა იმისა, რომ იწვევს ადამიანური და ზნეობრივი ღირებულებების უგულებელყოფას, ასევე ქმნის საფრთხეს, რომ დედამიწის შეზღუდული რესურსები ამოიწუროს. გარემო უკიდურესად ბინძურდება, ნადგურდება ტყეები, მდინარეები და სხვა.



მეორეს მხრივ დღითიდღე იზრდება უსარგებლო მოთხოვნილებების რიცხვი და მომჭირნეობისკენ არავითარი ტენდენცია არ შეინიშნება. ადამიანები იმ პროდუქ-

ტებს, რომლებსაც ადრე არ იყენებდნენ, არ სჭირდებოდათ და ზედმეტად მიიჩნევდნენ, უეცრად აღმოაჩენენ, რომ იგივე პროდუქტების მომხმარებლები არიან. უკვე აღარავინ კითხულობს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად სჭირდება ადამიანს თუ არა.

მოკლედ რომ ვთქვათ, დღეისათვის მომხმარებლების მიღგომებს ადამიანი ეკონომიკურ განზომილებაში გადაცყავს და მოხმარებაზე უკიდურესად ორიენტირებულს ხდის. ამავდროულად უგულებელყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი მორალური და რელიგიური ღირებულებები, როგორიცაა ურთიერთდახმარება, გაჭირვებულებზე ხელის გაწოდება, გარემოს დაცვა, მფლანგველობისა და ამპარტავნებისაგან თავის შეკავება, მხოლოდ იმდენით დაკმაყოფილება, რაც გვჭირდება და სხვა.

გამომდინარე აქედან, როგორც ინდივიდუალირი, ისე საზოგადოებრივი მომხმარებლის კულტურა აუცილებლად გამოსწორებას საჭიროებს, რადგან არსებულ მდგომარეობას მოაქვს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი ტენდენციები. საამისოდ კი აუცილებელია გავატაროთ მორალური და სულიერი, პრევენციული სახის დონისძიებები. ერთის მხრივ უნდა შენარჩუნდეს სამეწარმეო სურვილი, რათა რეალური საჭიროებებისათვის საკმარისი პროდუქცია

დამზადდეს, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანებს უნდა ავუხსნათ, რომ მფლანგველობა მიუღებელია და საზოგადოების მდიდარმა წევრებმა დარიბ ნაწილს უნდა დაეხმარონ. რაღაცის ყიდვა, შეძენა, მოხმარება თვითმიზანი არ უნდა იყოს. ის უნდა იყოს საშუალება საიმისოდ, რომ საჭიროებები დავიკმაყოფილოთ. მიზანი კი ადამიანის და საზოგადოების ბედნიერებაა. მოხმარებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საზომი და მორალური ნორმები.

ახლა კი ამ მოკრძალებული ნაშრომით შევეცდებით საკითხი ისლამის პრინციპების შესაბამისად განვიხილოთ.

I. მობილური და მონიტორინგის პრინციპები

ადამიანები ხასიათით ერთიმეორისგან განსხვავდებიან. ყოველ მათგანს აუცილებლად გააჩნია პიროვნული ინტერესები და სურვილები, რაც სხვათა უფლებების ხელყოფის ალბათობას ქმნის. სწორედ ამიტომაა მორალური პრინციპები საჭირო და აუცილებელი. ამასთანავე საჭიროა სამართლებრივ ნორმებთან ერთად მორალური ნორმების პრაქტიკაში გატარება, რათა საზოგადოებაში მშვიდობა, ერთიანობა და ძმობა შენარჩუნდეს.

ამ თვალსაზრისით, ისლამი, პიროვნულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორალური ღირებულებების დაცვას და განხორციელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ზოგიერთი ვალდებულებისა და აკრძალვის სახით ადამიანებს შორის ზნეობის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. შუამავალი ბრძანებდა: “ოქვენს შორის ყველაზე სასარგებლო ისაა, ვისაც კარგი ზნეობა გააჩნია”. (ბუპარი, ედებ, 38)

მომხმარებლობა და მასთან დაკავშირებული მორალური პრინციპები საქმაოდ ყურადსალები თემაა. შუამავალი ბრძანებდა: “ვისაც მეზობელი მშიერი ყავს და თვითონ მაძღარი წევს, ჩვენიანი არ არის”. (ებუ შებე, მუსანნეფ, 7/218)

“რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებთ, თუ ის მორწმუნე ძმასაც არ უსურვეთ, მორწმუნედ არ ჩაითვლებით.” (ბუპარი, იმან, 7)

ჰადისებიდან გამომდინარე მორწმუნე მუსლიმი ვალდებულია მატერიალური და სულიერი წყალობა არც უპასუხისმგებლოდ გაანიავოს და ამასთანავე მორწმუნე ძმებსაც უნდა გაუზიაროს. ჰადისებიდან ნათლად ჩანს, რომ მორწმუნე მუსლიმს უყურადღებობა და გულგრილობა არ ეპატიება.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი საკუთრების უფლებას იცავს, ადამიანებს მაინც არ

საქონლის მობილური და ბლოკირებულის

აძლევს უსაზღვრო უფლებას საკუთარი ქონება შეუძლებად განკარგონ. ამით ისლამი საზოგადოების ეკონომიკური წონასწორობის თვალსაზრისით გარკვეულ ნორმებს აწესებს. ისლამის მიხედვით შემოსავლის მიღება, მოგება და ქონების დაგროვება გარკვეულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს და ასევე ნორმებია დაწესებული ქონების განკარგვისა და ხარჯვის დროსაც. ამ ნორმების უგულებელყოფა იწვევს სასჯელს, როგორც ამქვეყნიურს, ისე იმქვეყნიურს. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

“საიქიოში ადამიანი ხუთი რაიმის შესახებ აუცილებლად განიკითხება: ცხოვრება სად გაატარა, ახალგაზრდობა როგორ განვლო, ქონება საიდან დააგროვა და სად დახარჯა და თავისი ცოდნის მიხედვით თუ იქცეოდა”. (თირმიზი, ყიამეთ, 1)

ისლამის მიხედვით მომხმარებლის მიერ გასათვალისწინებელი მორალური პრინციპები შემდეგია:

1. მობილურის ძალისადა

მოვალე უნდა იყო საქონლის

ადამიანებს სიცოცხლის გაგრძელებსათვის აუცილებლად სჭირდებათ მოთხოვნი-

ლებების დაკმაყოფილება. ეს არის საჭიროება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას მუდმივად თან სდევს. საჭიროებები მოთხოვნილების სახით წარმოჩნდება. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი კი ზოგადად გამოიხატება როგორც მოთხოვნა. მოთხოვნა არის გარკვეული პროდუქტის ან მომსახურების შეძენის სურვილი და შესაძლებლობა.

ეკონომისტების ენაზე ეკონომიკა არის შეზღუდული საქონელისა და მომსახურების შეაზღუდავ მოთხოვნილებებთან გაწონასწორების მცდელობა. ისლამის ეკონომისტები კი მიიჩნევენ, რომ შეუძლებავი მოთხოვნილებები კი არა, ადამიანის სურვილებია. ასე, რომ მათი აზრით მოთხოვნილება და სურვილი სხვადასხვა რამაა.

სიმართლეც ესაა. ადამიანები დღეს არ-სებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთანავე სხვა მოთხოვნილებებს იჩენენ და როგორც წესი, უფრო და უფრო მეტი უნდათ. შეამავალი ადამიანის ამ თვისებას შემდეგნაირად აღწერს: “ადამიანს ერთი ხეობა სავსე ოქრო რომ პქონდეს, მეორეს მოისურვებს”. ბუჭარი, რიკაპ, 10)

დღესა, მოთხოვნილება და სურვილი ერთმანეთშია არეული და უმეტესად სურვილი საჭიროების ადგილს იკავებს. არა-

და საჭიროება უფრო კონკრეტული რამაა, ვიდრე სურვილი. საჭიროება ფიზიოლოგიური ხასიათისაა, ხოლო სურვილი უფრო ფსიქოლოგიური მოვლენაა. ამიტომაა, რომ ჩვეულებრივი ადამიანის საჭიროებები შეზღუდულია, ხოლო სურვილები შეუზღდავი.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია შემდეგი მოსაზრება წარმოგიდგინოთ: ადამიანებს, როცა ეს საჭირო იქნება, უნდა შეეძლოთ სურვილები შეზღდულონ და ისეთი რამეების შეძენისგან თავი შეიკავონ, რისი შეძენაც იმ მომონტისათვის აუცილებელი არ არის. რაც აუცილებელია და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, ბუნებრივია ადამიანმა ის უნდა შეიძინოს.

მნიშვნელობის მხრივ მოთხოვნილებები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: აუცილებელი, ცხოვრების გაიოლებისთვის გამოსაღები და სიამოვნების მისაღები მოთხოვნილებები. ბუნებრივია, რომ განვითარება და თანამედროვეობა მოთხოვნილებების გაზრდას იწვევს. თუმცა, ყველა სურვილის და მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკნომიკური თვალსაზრისით შეუძლებელია და საჭიროა არჩევანის გაკეთება. პირველ რიგში მდგომი მოთხოვნილებების უგულებელყოფა და მეორეხარისხოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა მფლანგველობად ითვლება და მიუღებე-

լուս. Աֆամիանուս շահաթղարք գանցանուսա
ճա և սյրազուլյան პորուծանի, մատ ճասայմա-
յոցուլյան պաշտու բարակը և սացր-
մեռնանա մշուրը ամուրը այլուլյան պայ-
մունարյանուսաս արևեծունայա բարակը,
բարձունան գոնուշարազ, ներանդրու ճա և գո-
նունիշ էրունցունի մայտամայի ամա-
նյան ամշարու էրունցունի բար ար ներ-
ազան, զոն օցուս նոցուրու աֆամիանուս սա-
յուտարու սյրազուլյան մայտամուսան բամայի
շասարացնան բամայի մայմանան բամայի
յո զոն օցուս բամայի աֆամիանուս ար ներ-
սասութեան մենաշնուրազան բամ մայմո-
նուս. Ամշարու թյենցունի արամարթու յարունո-
մուշ բարնասթորունի ճաանանյան, արամայի
ուս ցամության սուցուալյար սկմայոցուլյան աս
ճա ճաուրացայա սանցագույնան բամ մայմու-
նուն մամթյան բարուն ճա մայտու ասյու մաց-
լուն արևեծունի.

2. Հյամեսացւան մայշանուս յիւրած առ յեճա ճա- ճառացուս մուռալյան նանչանին

Օսլամուս միեցացու մեռան սամունե-
մարյան եարջանի ար արուս մայմուսացնուս
մունան. ամուրը մայմուսացնուս մաթյանատան
յուրած, մամունց մունարյան որույնթուրը-
նա մուլյան ար արուս. մունարյան սոյերու
օսլամուս միեցացուա ճա ճառացալյուրյան ալ.

საქონლის მოხმარება და ზღვისუფალთა მიერ

ისლამი რამოდენიმე სახის პროდუქციას ჰარამად მიიჩნევს და მათ შეძენასა და მოხმარებას კრძალავს. რაც შეეხება ლეგიტიმურ საქონლს, ისლამი აქაც ზომიერებას მოითხოვს და მფლანგველობას მიუღებლად თვლის. (იხ. არაფ 31)

გამომდინარე აქედან, ადამიანს, რომელსაც შემოსავალი მოემატა უფლება არ აქვს მაშინვე საკუთარი სურვილისა და საჭიროებისამებრ დახარჯოს. ის ვალდებულია გაითვალისწინოს ლარიბები, სხვა ტიპის გაჭირვებულები, ნათესავები, მეგობრები და სხვა. (იხ. ნისა 36, ისრა 26-27)



ისედაც ცხადია, რომ მუსლიმი ადამიანი მის ირგვლივ მყოფი ადამიანების შიმშილისა და უბედურების მიმართ გულგრილი ვერ დარჩება. ყურანის აიათებში მრავალგზის არის მოწოდებული, რომ ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არ უნდა დახარჯოს, სხვებისთვისაც უნდა გაიღოს და ამგვარი დანახარჯი დვთის გზაზე დახარჯულად ითვლება. მაგ:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაუცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაპი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!” (სურა ბაყარა 267)

აიათიდან გამომდინარე შემოსავლის ნაწილი გაჭირვებულებს უნდა ვუწილადოთ.

არსებობს დვთის გზაზე დახარჯვის სავალდებულო და ნებაყოფილობითი ვარიანტი. მაგალითად ზექათი სავალდებულო მოწყალებაა. სხვა ტიპის მოწყალებას კი მორწმუნე საკუთარი სურვილისამებრ განახორციელებს და რაოდენობაც მასზეა დამოკიდებული. შეამავალი შემოსავლის მატების მიუხედავად მოკრძალებულ ცხოვრებას განაგრძობდა. მთელ დანარჩენ შემოსავალს კი ღარიბებს უნაწილებდა.

რა თქმა უნდა ისლამი არ გვავალდებულებს, რომ მხოლოდ მინიმუმი ვიკმაროთ და ხარჯვაში საარსებო მინიმუმს არ ავცდეთ. მორწმუნე მუსლიმს უფლება აქვს კარგად და ზომიერად კომფორტულად იცხოვოს. ყურანში ნაბრძანებია:

“ჰეითხე: ვის ძალუმს აკრძალოს მორთულობა და სანუკვარი სარჩოთაგანი ალლაჰის მიერ თავის მსახურნზე ნაბოძები? უთხარი: ეს მათთვისაა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და კერძოდ, აღდგომის დღეს, რომელთაც იწამეს. ამგვარად განვმარტავთ აიათებს ჩვენ იმ ხალხისთვის, აცნობიერებენ რომელნიც.

ყველა იმ ტიპის ხარჯვა რომელიც ამპარტავნებას გამოხატავს და ზედმეტია მფლავნგველობაში ითვლება. ამიტომ, როცა ადამიანი ფულს ხარჯავს მხოლოდ საკუთარი საფულის მდგომარეობაზე კი არ უნდა იფიქროს, საზოგადოების საფულეც უნდა გაითვალისწინოს. ისლამური გაგება არ ითვალისწინებს იმას, რომ საზოგადოებაში ზოგი ძალიან მდიდარი იყოს და ძირითადი მასა უკიდურესად დარიბი.

Յ. Աղջոյածին Խոհեման քայլաւ Խոհեման թօվեամանայս

Սայոնցլուսա და մოմսաեշրებისցան մոլց-
ծով დაკմաყოფილցებას սարցեბելո էլքո. ամ ցանմարტեბიდაն ցամռմდიնարյ սայոնցլ-
սա და մոմսաեշրებաს սարցեბելո რომ էլքո-
დյե ամուսատցու սակորու մոտեռզնոլցեցեბու
დაկմաყոფიլցեბու տցուսցա ցահնდյե.

Օսլամու մոեցցու սարցեბլու Մյմցզել
սայոնցլս սամարտլցեბրոցո, լցցցումյրո
լորցեბովցեბա շնդա ցահնդյե. մագալուտաდ
արսեցօնե օսլամու մոեցցու արալցցումյրո-
մյրո, սամարտլցեბրոցա լորցեბովցեბու ար-
մյոնց սայոնցլուց. ասցու լորու եռցու,
լցմո და մեցացսո. մոտեռզնոլցեցեბու დաკ-
մաყոფուլցեցու Մյմնոլո սայոնցլո աշ-
ցոլցեბլա էլլա լու շնդա ուցու. ցամռմდი-
նարյ էլքու, ալլա կոքու, նարկութու და լո-
րու եռցու, րոմլցեցու օսլամու մոեցցու
կաթցարու ալլա էլքու, ցամռպյենցեցա დ
սայոնլա ար ուղացեბա და մատո ցամռպյ-
նցեბա էլքու ալլա լու. Մյսեաձամու մյսելո-
մու տցու մատ սարցեბլու անռօնի և սայօնը է
կո թցումյրո. ասցու մուցցեցելու ոմցարո
մոմսաեշրեցեց մոլցեბա, რաց օսլամու էրոն-
ցու էլքե յինեաձմდցեցեბա. ամցարո մոմսաեշ-
րեցեց ցանցա და մոլցեբա էլքու ալլա լու.

Թյորյե մերու պյուրանու թոցուրո այս-
տցեմո սայօնը օսցու սայոնցլու, րոմլց-
եցու էրոնց սասարցեბլու ամուսատցու.

საქონლის მოხმოვნება და ზედომუნიციალურობა

(იხ. სურა ბაყარა 110, 272, 273) ამგვარი სახელი მათ მიენიჭათ მათი გამოყებების შედეგად მიღებული სარგებელის გამო. სარგებელი ხომ საქონელისა და მომსახურების გამოყენების შემდეგ წარმოიქმნება. ამიტომაა რომ დვთის გზაზე ფულის გაღება, ზექათი, მოწყალება, ოჯახის რჩენა და სხვა მსგავსი ხასიათის ქცევები ყურანში ხშირადაა მოწოდებული.

რომელთაც სწამთ უხილავის, ლოცვას აღავლენენ ჰეშმარიტად და, რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან (დვთის გზაზე); (სურა ბაყარა 3)

“სიკეთე მარტოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან.” (სურა ბაყარა 177)

“და რომელთაც მოითმინეს თავიანთი ღმერთის კმაყოფილების სურვილით და აღავლინეს ლოცვა, და გასცემენ ფარულად თუ აშკარად მოწყალებას იმისგან, რაც ვუ-

ბოძეთ და სდევნიან სიკეთით ბოროტებას, აი ეგენი, რომელთაც ჰპოვეს საუკეთესო შედეგი სამყოფელისა!” (სურა რა’დ 22)

გარდა ამისა, ყურანი აფრთხილებს იმ ადამიანებს, რომლებიც საქონელს არ იყენებენ, ინახავენ და დვთის გზაზე არ ხარჯავენ.

“ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უმჭველად, უმეტესი მწიგნობარი და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაპის გზიდან. და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაპის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი!

იმ დღეს გაშანოებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდაღება შუბლი მათი, და ფერდნი მათნი, და ზურგნი მათნი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით!” (სურა თევბე 34-35)

საქონლისა და მომსახურებისგან ისლამის მიხედვით ლეგიტუმური გზით სარგებლის მიღება და ამ სარგებლის მაქსიმიზაცია მიღებული და მისასალმებელია. ისლამის სწავლულთაგან ელ ჯაპიზი მოგვითხოვთ მუაზეს სახელით ცნობილი ერთ-ერთი ქალბატონის ამბავს, სადაც თემასთან დაკავშირებული საკითხია განხილული.

ამ ქალბატონს ერთმა ახლობელმა პირუტყვი აჩუქა. ქალი ქვრივი იყო, ამიტომ არ

იცოდა რა მოეხერხებინა პირუტყვისთვის. საგონებელში ჩავარდნილ ქალს ჯაპიზმა ჰკითხა, რა გაგჭირვებიაო. მუაზემ უპასუხა: მე ქვრივი ვარ და არ მყავს მამაკაცი, რომელიც ამ პირუტყვს მიხედავს ან ხორცის გამოყენებაში დამეხმარება. ქმარი, რომელიც ყველა საქმეს აგვარებდა და მებმარებოდა, აღარ არის. რომც დავკლა ეს პირუტყვი, როგორ უნდა დავჭრა და როგორ გავყიდო ესეც კი არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს პირუტყვიც და ყველაფერი რაც ღმერთს გაუჩენია, როგორც ჰალალი, აუცილებლად სასარგებლოა. თუმცა ისეც ხდება, რომ ადამიანებმა მისი რიგიანად გამოყენება არ ვიცით. მე ახლა ვშიშობ ცოტა არ ვიზარალო, მაგრამ ვიცი რომ ეს ცოტა ზარალი, მომავალში დიდი ზარალის მიზეზი გახდება. რქები ვიცი როგორც უნდა გამოვიყენო. ოთახში ბოძზე მივარჭობ და რაღაცაებს ჩამოვკიდებ. რაც შეეხება ძვლებს, ხორცის გაცლის შემდეგ უნდა დაიმტვრეს და აღუღდეს. გამოცალკევებულ ცხიმს ოთახის გასანათებლად გამოვიყენებ. ძვლები შეშად გამოდგება. რაც შეეხება ტყავს, მისგან ფეხსაცმელი, ჩანთა და მსგავსი რამები მზადდება.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯაპიზი ისევ შეხვდება მუაზეს. იმ პირუტყვის ბასტურმა რა უყავიო, ჰკითხავს.

ბასტურმისთვის ჯერ ადრეა. მაგის დრო ჯერ არ მოსულა. ჯერ ცხიმს, ძვლებს, ტყავს ვიყენებ და თავი ასე გამაქვს. დრო რომ მოვა ბასტურასაც გამოვიყენებ.

ამ ამბავს თუ შევხედავთ და არსებული პირობების მიხედვით განვიხილავთ, ხელი არსებული საქონლისგან მაქსიმალური სარგებლის მიღების საუკეთესო მაგალითია. ეს ამბავი გვაძლევს საიმისო გზავნილს, რომ საქონლისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება დამოკიდებულია მის სწორად გამოყენებაზე.



ისლამის მიერ განმარტებული ადამიანის მოდელი წარმოადგენს ისეთ პიროვნებას,

რომელიც თავისი სულიერი და მატერიალური ფასეულობებით მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, მთელ საზოგადოებასაც უნდა გამოადგეს. ყოველი მუსლიმი საზოგადოების და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში აქტიურად უნდა იღწვოდეს და მის განვითარებაზე ზრუნავდეს. გამომდინარე აქედან მუსლიმი ადამიანი განსხვავდება “ეკონომიკური ადამიანისაგან”. ეკონომიკური ადამიანი მუდმივად ცდილობს თავისი სარგებელი მაქსიმუმადე აიყვანოს. მუსლიმი ადამიანი კი საკუთარი სარგებელის გაზრდის მცდელობასთან ერთად ცდილობს საზოგადოების თითოეული ინდივიდის სარგებელიც გაზარდოს.

ეკონომიკურად შეძლებული მუსლიმი, მატერიალური მოთხოვნილებების დაქმაყოილებისას დამატებითი მოხმარების ხარჯებს ყოველთვის თავს არიდებს, რადგან დამატებითი მოხმარების ხარჯები “შემცირებული სარგებელის კანონის” მიხედვით მარგინალურ სარგებელს ამცირებს, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურ სარგებლად გადაიქცევა. ეს კი ადამიანს უბედურებისკენ უბიძვებს. ამ დროს ცხოვრებისგან სიამოვნების მიღება რთულდება და ადამიანს თავში ცუდი აზრები და სურვილების მოხდის, რაც უზნეო საქციელისკენ უბიძვებს. ისლამის პრინციპების მიხედვით აღზრდილი ადამიანი ამ მდგომარეობაში არასოდეს ჩავარ-

დება. მან იცის, რომ გადაჭარბებამდე სანამ მივა ხარჯვა უნდა შეაჩეროს, რადგან ზედმეტი ხარჯვა უკვე მფლანგველობა და ცოდვაა. მუსლიმი არც ფუფუნებასა და გლამურულ ცხოვრებას აჲყვება. ინდივიდუალური მოხმარების მარგინალური ხარგებლის შემცირებისას მუსლიმი პიროვნება სოციალური კუთხით იწყებს ხარჯვას, რაც საზოგადოებაში მორალური კმაყოფილების გრძნობის გაზრდას გამოიწვევს. ამრიგად, გეგმაზომიერი მოხმარება მატერიალური სარგებელის გარდა საზოგადოების ღარიბი ფენის მიმართ ყურედღების გამოჩენის საშუალებს იძლევა, რაც მათ გაახარებს და შესაბამისად საზოგადოების სულიერ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ამრიგად, საქონელისა და მომსახურების-გან ალალი გზებით სარგებელის მაქსიმუმამდე აყვანა მიღებული და სასურველია. ამ პროცესში არც მფლანგველობაში უნდა გადავიდეთ და არც სიძუნწეში.

4. ზეღმენი ხორჯისგან ითას შემთხვევა

დმურთმა ადამიანს ყველაფერი უბოძა, რაც ცასა და დედამიწაზეა. (იხ. სურა ბაყარა 29, სურა ლუჟმან 20, სურა ჯასიე 13) ყველა ეს წყალობა, რასაც ვერ ჩამოვთვლით ადამიანის სარგებლობისთვისაა გაჩენილი. (იხ. სურა იბრაჰიმ 34, სურა ნაპლ 18). ამ

საქონლის მოხმოვნება და ზედამხურდობელობა

უთვალის წყალობიდან ზოგიერთით სარგებლობა უშრომლად და მზა სახით არის შესაძლებელი, ხოლო ზოგისთვის შრომა და მოპოვებაა საჭირო. სწორედ შრომა და წარმოებაა საჭირო, რათა ადამიანის უსაზღვრო სურვილის შესაბამისი პროდუქცია არსებობდეს. გარდა ამისა, ისლამი ამ სფეროში გარკვეულ რეგულაციებს აწესებს. მაგალითად, რაცარუნდა მოიმატოს შემოსავალმა, მუსლიმ ადამიანს უფლება არ აქვს ფული არამ და არალეგიტუმური მიმართულებით დახარჯოს. რაც შეეხება ლეგიტიმურ სფეროს, აქაც გარკვეული რეგულაციებია, რაც აუცილებლად გულისხმობს მფლანგველობისა და ზედმეტი ხარჯვისგან თავის შეკავებას.



რა იგულისხმება მფლანგველობაში? ეს არის გადაჭარბება, საჭიროებაზე უფრო მეტის გამოყენება, ზღვარსგადასულობა, ქონების განიავება, უსარგებლოდ ხარჯვა, ცუდად გამოყენება და გაფუჭება და სხვა.

დმერთი ბრძანებს:

“ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭვლად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი. (სურა ე’რაფ 31)

აღნიშნული აიათიდან გამომდინარე ზღვარსგადასულობა აკრძალულია.

წმ. შუამავალი ბრძანებს: “ამპარტავნებისა და ზღვარსგადასულობის გარეშე ჭამეთ, სვით, ჩაიცვით და მოწყალება გაეცით.”

ერთხელ შუამავალი სადს ესტუმრა. სადი ამ დროს ლოცვისწინა მცირე განბანვის რიტუალს ასრულებდა. შუამავალმა დაინახა, რომ სადი აბდესთის შესრულებისას ზედმეტ წყალს ხარჯავდა და ამის გამო უსაყვედურა. სადმა გაიკვირვა და განბანვისასაც შეიძლება ზღვარსგადასულობად ჩამეთვალოსო, პკითხა. პასუხად შუამავალმა ბრძანა: “დიახ, მდინარის პირასაც რომ ასრულებდეთ განბანვას მაშინაც კი.”. (იბნი მაჯე, ტაჟარეთ 48)

რა თქმა უნდა ეს ამბავი ცხადი მაგალითია იმისა, რომ ჩვენ ღვთისგან ბოძებულ წყალობას უნდა გავუფრთხილდეთ და ყაირათიანად მოვიხმაროთ. მდინარის პირასაც კი ზედმეტი წყალი არ უნდა მოვიხმაროთ. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია საიმისოდ, რათა ადამიანებმა მომჰირნეობა და ზომიერად ხარჯვა გაითავისონ.



ალალი წყალობის გამოუყენებლობაც ერთგვარი ზღვარსგადასულობაა. პალალი პროდუქტის ან სხვა რაიმის საჭიროებაზე მეტის მოხმარება ზღვარსგადასულობაა და პარამია. ასევე ზღვარსგადასულობა და პარამია საჭიროებაზე ნაკლების მოხმარებაც, ან საჭიროების მიუხედავად საერთოდ მოხმარებისგან თავის შეკავება. საჭიროების

մոյեցազագ ցամուպենցծլոծ կոնքրէթշլո
Կրօդշիւլուս և սոմրազլու ցամութշլու, რաւ
մու Ռարմուցած մշագյուղեցած է կո յըռնո-
մոյշրո նունուսա և նուգագագ յըռնոմոյշրո
Ռոնսլուս մշեցլուցած մոնցի ցակցեցա. յշ-
րանշո ալնոնցլու և այուտեցած մշեսակցի եմո-
րագաա և այնարո:

“Կյուտեց: զու ժալում այրմալու մոր-
տյլոծ և սանցյարո և արհուտացանո ալ-
լակուս մոյր տացուս մեսակցնու նածուցեցո?
յուտեարո: յու մատուցուսա ամեցանոյշր ցեռշ-
րեցանո և կյրմու, ալդցոմուս լուց, րո-
մելուտաց ովամյու. ամշարագ ցանցմարթաց առ-
աւցեց իշշե ու եալնեւուցուս, աշնուցուցեց բա-
րոմելնուց.” (Եշրա յ՛րաց 32)

“յուրու, Ռակցենու ոյմեն, րոմելուտաց
յանցուրշեցուտ և յմեցրեցուտ դակուցյ տա-
ցունու մշուլնո. և րոմելուտաց, ալլակչեցա
ցադաձրալուցուտ, ալլակուս և անցրու նածու-
նո այրմալոյ. յակցալու, կյամմարու ցնաս
ամցարնո արուն յցենո և ար ոյնցեա, րոմ
դաացցեն կյամմարու ցնաս! (Եշրա յե՛ամ 140)

“Կյու տկցեն, րոմելուտաց որմշյետ! ար
այրմալու սումյեն, րոմելնուց ալլակմա-
նցեց մոցւատ տկցեն, մացրամ ար ցադաեցուցու
նուցարն. յակցալու, ալլակու ար յացարն
նուցարցացաւուլնո.” (Եշրա մաուց 87)

Սարմշյենուցուտ մուսացեց մումարյեցուսա
տյ եարջզուսաս նուցարնցաւուլոծ այրմա-
լուլուս. այ մշուցուց յրտու կուտեց լուսա-

საქონლის მოხმოვნება და ზედომუნიტურის

დოს: დვთის გზაზე, ან მოწყალების სახით გაცემისას გადაჭარბება ზღვარსგადასულობად ითვლება? კურანში არის შესაბამისი მაგალითები განხილული. ასევე ამ ყველაფერზე საუბარია ჰადისებშიც. აიათებში მითითებულია, რომ სხვებზე დახმარებისას ზღვარს არ უნდა გადავიდეთ და საკუთარი მდგომარეობა საფრთხის ქვეშ არ დავაყენოთ.

“და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, დატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!

“უეჭველად, მფლანგველები ეშმაკის ძმები არიან, ხოლო ეშმაკი უმადურია თავისი ღმერთის წინაშე.” (სურა ისრა 26-27)

აიათი მოგვიწოდებს, რომ სხვათა დახმარებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებისას ზღვარსგადასულობისგან თავი შევიკავოთ.

ენამის სურას 141-ე აიათში ნაბრძანებია შემდეგი:

“და იგია, რომელმაც გააჩინა ბაღები ძირსგართხმული და ამაღლებული, და ხურმა, და ნათესნი სხვადასხვა ნაყოფიანი, ზეთის ხილი და ბროწეული ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული. მიირთვით მა-

თი ნაყოფი, როცა დამწიფდება, და მომკის დღეს გაეციო წილი მისგან. და არ იყოთ მფლანგველნი. უეჭველად, მას არ უყვარს მფლანგველნი!"

აიათში ნაბრძანებია, რომ გაცემისასაც არ უნდა ვიყოთ მფლანგველნი. ამ თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავია განხილული:

საბით იბნ ქიასმა თავისი ხურმის ბაღში თავისუფლად შესვლის ნება გასცა. ანუ ყველას შეეძლო შესულიყო მის ბაღში და ხურმა მოეკრიფა. თუმცა ყველამ იმდენი ხრმა მოკრიფა, რომ მას და მის ოჯახს საერთოდ ადარ დარჩათ არაფერი. ამის თაობაზე იქნა მოვლენილი აიათი, როემლიც მორწმუნებს მოწყალებისა და დახმარების საკითხებშიც ზომიერებას ურჩევდა.

შუამავალი მოწყალების შესახებ ბრძანებდა, რომ მოწყალება მაშინაა კარგი, როცა მოწყალების გამცემი სხვაზე დამოკიდებული არ გახდება. ამ თემასთან დაკავშირებით ასევე არსებობს, ვარაუდი, რომლის თანახმადაც შუამავალი მთელი ქონების მოწყალებად გაცემას კრძალავდა. (იხ. ბუჰარი, ვესაია 2)

საქონელი, მოთხოვნილებების მიხედვით სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: აუცი-

ლებელი საჭიროების საქონელი, სიმშვიდისა და გაიოლების უზრუნველსაყოფად გამოსადეგი საქონელი და კეთილდღეობისთვის საჭირო საქონელი. თუ ადამიანს პირველადი მოხმარების საქონელი სჭირდება და ის მეორე კატეგორიის საქონელს მოიხმარს, ესებ ზღვარსგადასულობაა და მიუდებელია. იგივე ეხება მეორე კატეგორიის საჭიროებასაც. თუ ადამიანს მეორე კატეგორიის საქონელი სჭირდება და ის ფუფუნების საგნებს ყიდულობს, ესეც ზღვარსგადასულობაა. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანს როცა პირველადი მოთხოვნილებების საქონელი სჭირდება, ჯერ მათი დაკმაყოფილება უნდა შეძლოს და ამის მერე გადავიდეს სხვა კატეგორიის საქონლის მოხმარებაზე. მოთხოვნილებები კი შეიძლება იცვლებოდეს ინდივიდისა და იმ გარემოს მიხედვით, სადაც კონკრეტული ინდივიდი ცხოვრობს.

საქონლის სიმრავლე ან სიმცირე, დეფიციტი ან ჭარბი მიწოდება ხშირად ზღვარსგადასაულობის მიზეზი ხდება. ასევე მნიშვნელოვანია ეს კონკრეტული საქონელი არის თუ არა ძირითადი მოხმარების პროდუქტი. მაგალითად ნაკთობი ისეთი სახის პროდუქციია, რომელიც ყველას სჭირდება და ყველა მოხმარს მდიდარი იქნება ადამიანი თუ დარიბი. შესაბამისად ასეთი პროდუქტის მიმართ უფრო მეტი მგრძნობელია საჭირო და მისი მოხმარებისას უფრო

მეტი ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ. თუ ნავთობის რეოდენობის სიჭარბე წარმოიქმნება, მაშინ მისი უფრო მეტი რაოდენობით მოხმარება დასაშვები გახდება. იგივე ვხრცელდება საკვებ პროდუქტებზე და სხვა ძირითადი მოხმარების პროდუქციაზე.

განსაკუთრებით ზღვარსგადასულობად და ცოდვად ითვლება ფულის ისეთ არალეგიტუმურ რამეებში ხარჯვა, როგორიცაა აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელები, მრუშობა და სხვა. ასევე ზღვარსაგადასულობათ ითვლება ჰალალ და ლეგიტიმურ რამეებში ზედმეტი ხარჯვა. გარდა ამისა, საკვები პროდუქტების გაფუჭება, საჭმლის გადაყრა, გამოსადეგი ტანისამოსის გადაგდება, ასევე გამოსადეგი ავეჯის გადაგდება, წყლისა და ელექტროენერგიის უმიზნოდ ხარჯვა, ზედმეტი ჭამა და სმა და სხვა მსგავსი რამეები ზღვარსგადასულობის მაგალითებია.

გამომდინარე აქედან ეკონომიკური ღირებულებების წესიერად გამოუყენებლობა და მათი განიავება, ასევე ღმერთის მიერ აკრძალულ გზაზე ფულის დახარჯვა ზღვარსგადასულობაა და ისლამის მორალს არ შეესაბამება.

5. მოხყვებითობა და მშპრიციებები

მოჩვენებითი, არაგულწრფელი ქცევა რელიგიაში გამოიხატება სიტყვით “რია”. ეს არის ქცევა, რომლის დროსაც ღმერთის კმაყოფილებისავის შესასრულებელი ღვთისმსახურებას და სხვა სასიკეთო საქცილეს ადამიანი აკეთებს არა ღმერთის კმაყოფილებისთვის, როგორც უნდა იყოს, არამედ ადამიანების დასანახად, თავმოსაწონებლად და სახელის მოსახვეჭად. ამგვარი ადამიანი თვალთმაქცი მორწმუნება.

თვალთმაქცობას შეიძლება ორი მიზეზი ჰი ჰქონდეს: ერთი არის რწმენის სისუსტე, ხოლო მეორე ქონების, დიდების, სახელის სიყვარული.

ყოველგვარ ღვთისმსახურებას, ნამაზის შესრულებას, მარხვას, ზექათის გაცემას, ჰაჯად წასვლას, მოწყალებას და ქველმოქმედებას თუ მიზნად ღმერთის კმაყოფილების მოპოვება არ აქვს, ფუჭად წავა.



ყურანში დმერთი ბრძანებს:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მდგომარეობა მისი იმ კლდეს ჰგავს, რომლის ზემოდან მიწაა, ლვართქაფი დაეცა მას და დარჩა სალი ქვა. ეგენი ვერაფერს განაგებენ რაც შეიძინეს, იქიდან. რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს ურწმუნოებს ჭეშმარიტ გზას.” (სურა ბაყარა 264)

ჰადისში კი ნათქვამია, რომ მოჩვენებითი ღვთისმსახურება ფარული ურწმუნოებაა. (აპმედ იბნი ჰანბელი, მუსნედი 428) შუამავალი ბრძანებდა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სახელის მოსაპოვებლად და გმირობის ჩასადენად ბრძოლაში თავი გაწირეს, ხელ-

საქონლის მოხმოვნება და ზედომუნიციალურობა

გაშლილი ადამიანის სახელის მოსაპოვებლად მოწყალება გასცეს, ლამაზად კითხულობსო ხალხს რომ ეთქვა ამ მიზნით ყურანი წაიკითხეს, სწავლული მერქვასო იმ მიზნით ისწავლეს, ყველანი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. (ხესაი, ჯიჭად 22)

ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში აშკარა რია, ანუ თვალთმაქცობაა. ასევე თვალთმაქცობაა, როცა ადამიანი სხვების მოსაჩვენებლად ბევრს ხარჯავს და მდიდარი ადამიანის იმიჯს იქმნის.

ასე, სხვების მოსაჩვენებლად ვინც იქცევა და ზედმეტს ხარჯავს, ყურანში სატანის მეგობრებად არიან მოხსენიებულნი:

1 “თაყვანი ეცით ალლაჰს და არავინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყარით მშობლებს, ახლობლებს, ობლებს, ლატაკებს, მეზობლებს, ნათესავებსა და უცხოებს, თანამომეუებს, მოგზაურებს და მათ, რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოპოვა. უეჭველად, ალლაჲს არ უყვარს, ვინც არიან ქედმაღალნი, მედიდურნი,

2 რომელნიც ძუნწობენ და ხალხსაც ძუნწობისკენ მოუწოდებენ; და მალავენ იმას, რაც ალლაჲმა უბოძა მათ თავისი წელობისგან! ჩვენ მოვამზადეთ ურწმუნოთათვის დამამცირებელი სასჯელი!

3 და რომელნიც ხარჯავენ თავიანთ

ქონებას ხალხის დასანახად და არ სწამო ალლაპი, არცა განკითხვის დღე; და ვისი ახლო მეგობარიც ეშმაკია, მათთვის ის რა ცუდი მეგობარია!...

4 რა ევნებოდათ მათ, რომ ეწამათ ალლაპი და განკითხვის დღე და გაეღოთ მის-გან, რაც ალლაპმა უწილადა? ალლაპი ხომ უკეთ უწყოდა მათ!(სურა ნისა 36-39)

ფუფუნებისა და მოჩვენებითობისკენ მიდრეკილება ადამიანის ფსიქოლოგიურ სტრუქტურას ეხება, მაგრამ ეს, როგორც ზემოთ წარმოდგენილ აიათებშია წარმოდგენილი, უფრო რწმენის სისუსტესა და რელიგიური მგრძნობელობის არქონაზე მიუთითებს. მხოლოდ ამქვეყნიური ფუფუნებისკენ მიდრეკილი ადამიანი, რომელსაც განკითხვის დღე და საიქიო დავიწყებული აქვს, იზრუნებს ფუფუნებაზე და სხვათა საჩვენებლად ზედმეტ ხარჯვაზე. ასეთი ადამიანები ბედნიერებას განსხვავებულ ცხოვრებაში ეძებენ. ისინი მუდმივად ლუქსი და ბრჭყვიალა ცხოვრებისკენ მიიღებენ. ამას ემატება ამპარტავნება და ისინი სიამაყის გამო საზოგადოების სხვა ფენას ზემოდან უყურებენ. ამიტომაც არ სწყალობენ და დარიბებს არ ეხმარებიან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის სურაში საუბარია ორ ადამიანზე. მათგან ერთ-ერთი მდიდარია, მაგრამ ურწ-

მუნი, ხოლო მეორე დარიბია, მაგრამ მორწმუნება. აიათში მათი კამათია წარმოდგენილი.

1 “მათ უამბე ორი კაცის მდგომარეობა. დავუდგინეთ ერთ მათგანს ორი ვენახი, გარშემოვლილი ხურმებით და მათ შორის ყანა.

2 ორივე ბალმა ნაყოფი გამოიღო და არაფერი არ მოჰკლებია, რამეთუ ჩვენ ამოვაჩქევეთ მათ შორის მდინარე.

3 და მას სხვა სიმდიდრეც პქონდა და უთხრა თავის მეგობარს საუბარში: „მე უფრო მეტი ქონება მაქვს შენზე და უფრო მეტი შემწეებიც მყავს.“

4 შევიდა იგი თავის ბალში, უსამართლოდ მოქცეული თავისი სულის მიმართ და თქვა: „არ მგონია, რომ ეს ოდესმე მოისპოსო.

5 არ მგონია დადგეს უამი. და თუ მიბრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, უსათუდო ვპოვებ ამაზე უკეთესს დაბრუნებისთვის!“

6 უთხრა მას თავისმა მეგობარმა საუბრის დროს: „ნუთუ უარყე, რომელმაც გაგაჩინა შენ მიწისგან, შემდეგ წყლისგან და მერე ჩამოგაყალიბა შენ კაცად?

7 მაგრამ იგი ალლაჟი ჩემი ღმერთია. და მე არ დავუდგენ თანაზიარს ჩემს ღმერთს არავის.

8 Իռուզա Շյեփյան Շյենի ծալֆո, Ռաքոմ առ ովքո: „Ռազ օնցի ալլապէմա! Առ առօտ ծալդա, շարճա ալլապէտօսա!“ Իռոմչ մեյժազայ մյ նակլայծո զոյտ Շյենի յանցեծոտա դա Շյոլլայծոտ.

9 Եցյածու հյոմմա լմերտմա մյ մօծոմու շաբաթու Շյենի ծալֆոյ դա մռազլոնու մասնի նեցուան մռուսեանցի, մամոն ովցազա ոցո ովովալ մովագ.

10 Ան մովագ Շտանտյուս Բյալու մոսո, Շյմդյա կո զըլարասուցյ Շյմդյա մոս շաբան դածրունցիս!

11 Հա գանացալուրճա մոսո մռսացալո, մյրյ ելլայծու ովմշենիքա դաօվյու ով գաղացալուր չացու դա հալլավուլո զանու ովանիաթյուրու շամո, դա ամծոծու: „Նյու արազոն շամյեածա տանահուարո հյմու լմերտուսուցուսու!“

12 Մաս ալլապէու շարճա արազոն քյազայ, Ռոմ դաեմարյեծուրճա. Կոլու տաշալ զըրացյուր շաեցյեծուրճա.

13 Տվորյա ով քյեմմարությալ ալլապէս յայտցնու Շյենցնա. Տվորյա ոցու պաշանյ շարջու և անձայրու ծա պաշանյ մմշանոյրու ալսասրուլու մռմնովյեծուրճա!

Ամյեցյնոյրու ծյեճնոյրյեծու շարճա և այժիու ծյեճնոյրյեծու զոնց յմոյեծու դա մոսուցու նրանցի, ու ասյու մըցոմարյուծումու առ հաշարճայ ծա. ուսոնու եռմ պաշանյուր, Ռասաց ակետյեցն,

საქონლის მოხმოვნება და ზედამხურდებულობა

მხოლოდ და მხოლოდ დიადი ღმერთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით აკეთებენ.

1. “და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს.

2. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურგილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მაღლობა. (სურა ინსა 8-9)

ასეთ ადამიანებს სჯერათ, რომ ყოველგვარი ქონების ნამდვილი პატრონი მხოლოდ ღმერთია, ამიტომ სხვათა წინაშე თავმოსაწონებლად ქონებას არასოდეს გამოიყენებენ.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ფუფუნების, სილუქსისა და სხვათა მოსაჩვენებლად ხარჯვის მაგალითები ყოველფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ისევ იყრება საკვები პროდუქტები, ახალი ტანისამოსი და ავეჯი. მართავენ ისეთ ქორწილებს, სადაც ყველაფერი ზღვარსგადასულია. არადა ასეთი ზღვარსგადასულობა არამარტო ადამიანის სულიერ მდგომარეობას აკნინებს, არამედ ის მატერიალურადაც საფრთხის შემცველია. წარმოგიდგენთ იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება ზღვარსგადასულობამ გამოიწვიოს:

ზღვარსგადასულობა, ზედმეტი ხარჯვა, საქონელისა და ფულის ფლანგვა ადამი-

ანებს მატერიალურ პრობლემებს უქადის. ფერხდება ეკონომიკის განვითარება და ანალოგიურად გადადის სხვა სფეროებზეც. ფუფუნების საგნები ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოდის, რაც იმპორტ-ექსპორტის ბალანსის დარღვევას უწყობს ხელს და ამვდროულად ხდება ვალუტის გადინება.

საჩვენებლად, პომპეზურ და ლუქს ცხოვრებას ვინც ეწევა საზოგადოების დარიბი ფენის შურსა და უკმაყოფილებას იწვევს, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წესრიგისა და ჰარმონიისათვის საფრთხის შემცველია.

ზოგიერთი მდიდარი ადამიანი ცდილობს საკუთარი თავი საზოგადოების სხვა ფენისგან განცალკევებულად დააყენოს და სოციალური სტატუსით მაღლა დადგეს. სწორედ ამის გამოსახატავად ხარჯავს საჭიროზე მეტს. ამას უყურებენ სხვებიც და უჩნდება მიმბაძველები. ბუნებრივია ყოველთვის ამის შესაძლებლობა ადამიანებს არ გააჩნიათ, ამიტომ ფულის სწრაფად საშოვნელად მიმართავენ არალეგიტიმურ გზებს და მიდიან კრიმინალზე. ეს კი აფერხებს საზოგადოების სიმშვიდეს და მის განვითარებას. ხშირდება აზარტული თამაშების, ქურდობის, ყაჩაღობის და სხვა საზოგადოებისთვის საშიში მოვლენების შემთხვევები.

განვითარებადი ქვეყნების მდიდარი ადამიანები განვითარებული ქვეყნების მდიდრებს ბაძავენ და ნაცვლად იმისა, რომ ინკესტიციები განახორციელონ და ქვეყნა განვითარონ ფულს ფუფუნებასა და უსარგებლო დანახარჯებში ფლანგავენ. მთელი მათი მოგება მიღის ფუფუნების საგნებში ან გლამურული ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებში და არა წარმოებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ამრიგად, ზღვარსგადასულობა უარყოფითად მოქმედებს მთელი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე.

მოკლედ, ზღვარსგადასულობა ისლამისთვის მიუღებელია. ამიტომ ფულის ხარჯვის მიზანი უნდა იყოს საჭიროებების დაკმაყოფილება და არა სხვათა თვალში განსხვავებული იმიჯის მოხვეჭა. ფულის ხარჯვის პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს ეკონომიკის, ლოგიკისა და მოთხოვნილების წესებს. გარდა ამისა, სასურველია ხარჯვისას შევხედოთ არა უფრო მდიდრებს, არამედ ჩვენზე უფრო დარიბებს, რაც კარგი მაგალითი იქნება მათთვისაც.

6. სამდიდრო შეჯერება გაამჰარებება

არსებობს შემთხვევები, როდესაც მდიდარი ადამიანი გაამაყდება, გაამპარტავნდება, სხვებს მაღლიდან დაუწყებს ყურებას და საკუთარ თავს გაცილებით მეტის უფლე-

ბას აძლევს, ვიდრე ეს სინამდვილეში უნდა იყოს.

ყურანის მიხედვით საზოგადოების სიმ-შვიდის დაკარგვას და საყოველთაო არეუ-ლობას მისი ერთი ნაწილის ზღვარსგადა-სულობა იწვევს. ყურანში საუბარია ღვთის უხვი წყალობით გაამპარტავნებული ადამი-ანების შესახებ.



“რამდენი დასახლება გავანადგურეთ მა-თი ზღვარგადასული ფუფუნებიდან გამომ-დინარე! აი, მათი სახლები, სადაც არავინ დასახლებულა მათ შემდგომ, მცირედის გარდა. ჩვენ ვიმემკვიდრეთ ყველა.” (სურა ყასსას 58)

ყურანის მიხედვით ღმერთს არ უყვარს ის ადამიანები, რომლებიც მის მიერ ბოძე-ბული წყალობის გამო გაამპარტავნდნენ.

საქონლის მოხმოვნება და ზედამხურებელის

“„ნუ გათამამდები, რამეთუ ალლაპს არ უყვარს მედიდურნი! (სურა ყასსას 76)

სიმდიდრის გამო გამედიდურება და საკუთარი თავის სხევბზე მაღლა დაყენება დარიბების უფრო მეტად გაუბედურებას გამოიწვევს. ამასთანავე, ადამიანი ხდება ეგო-ისტი და სხვათა მიმართ გულგრილი.

ყურანის აიათებში ნათლადაა მითითებული, რომ ზღვარსგადასულობა იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის რღვევას და განადგურებას უქადის მას.

ამიტომ ადამიანი არ უნდა გათამამდეს, როცა მას ამქვეყნიური წყალობა უხვად მიენიჭება. ის უნდა იყოს თავმდაბალი და მუდმივად მადლიერი იმისა, რაც ებობა.

7. არი ძებნობი. არი მედებ ხელგაშლილობა

საქონელისა და ფულის უმიზნოდ ხარჯვა ზღვარსგადასულობაა, ხოლო მიზნის მიხედვით დაუხარჯავობა და შენახვა -სიძუნწე. მიზნობრივად და სწორად ხარჯვას კი ხელგაშლილობა ეწოდება. სხვანაირად რომ განვმარტოთ, სიძუნწე არის ფულისა და საქონლის გამოუყენებლობა, როცა ეს საჭიროა და როცა ამის საშუალება არსებობს.

სიძუნწის მიზეზები შეიძლება იყოს საკუთარი სურვილებისადმი ძლიერი დამოკიდებულება, ეგოიზმი, ასევე ამპარტავნება, ქონების სიყვარული, მომავალში გაჭირვებაში ჩავარდნის შიში და სხვა მსგავსი ცუდი ზნე-ჩვეულებები.



ისლამის მიხედვით აკრძალულია როგორც ზღვარსგადასულობა, ისე სიძუნწეც, რადგან ლმერთის მიერ ბოძებული წყალობის საკუთარი თავის, ოჯახის წევრების, ან სხვა ადამიანებისთვის გაუმეტებლობა მიუღებელია და ეს ეკონომიკასაც საკმაოდ აფერხებს.

გამომდინარე აქედან, ისლამი ზოგიერთი ტიპის დანახარჯის გაღებას პირდაპირ გვა-
ვალებს, მაგალითად, როგორიცაა ზექათი.
ამით გვახსენებს, რომ სხვა ადამიანების მი-
მართ გარკვეული ვალდებულებები და პა-
სუხისმგებლობა გაგვაჩინია. სწორედ ასეთი
მოვალეობაა ოჯახის წევრების მიმართ მზ-
რუნველობა, მათი რჩენა და მათი დაცვა.
ასევე ჩვენი მოვალეობაა ახლობლების, მე-
გობრების და სხვათა მიმართ მზრუნველო-
ბის გამოჩენა.

ვისაც საშუალება გააჩნია და ღმერთის
მიერ ბოძებულ სარჩოსა და ფულს საჭირო
დროს არ ხარჯავს, ბოროტებას სჩადის რო-
გორც საკუთარი თავისა და ოჯახის წევრე-
ბის მიმართ, ისე მის გარშემო სხვა ადამი-
ანების მიმართაც, რადგან იმ სიმდიდრეში,
რაც მას ღმერთმა უბობა სხვა ადამიანებ-
საც აქვთ თავიანთი წილი. (იხ. მეარიჯ 24-
25). ეს წილი კი თავიანთ პატრონებს უნდა
მიეცეთ.

ყურანში ნაბრძანებია:

“და ნუ ეგონებათ იმათ, რომელნიც ძუნწ-
ნი არიან ალლაჰის ნაბოძები მოწყალების
გაღებისას, რომ ეს სიკეთეა (კარგია) მათო-
ვის. არამც და არამც! ეს უარესია (ცუდია)
მათოვის. რაც ენანებოდათ, ის შემოეხვევათ
(წაეჭირებათ) ყელზე აღდგომის დღეს; და
ალლაჲისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეშ-

ნის, და ალლაჟი უწყის, რასაც აკეთებთ! (სურა ალი ‘იმრან 180)

აღნიშნულ აიათში ნათლადაა განმარტებული, რომ ძუნწებს მათი ქონება სიკეთეს არ მოუტანს და ის საჯელად გადაექცევათ, როგორც ამქვეყნად, ისე საიქოზი.

შუამავალი ბრძანებდა, რომ მორწმუნეს არ შეიძლებოდა პქონოდა ორი ცუდი თვისება: სიძუნწე და ცუდი ზნე. ამით ის ადასტურებდა, რომ მორწმუნე ადამიანი არც ძუნწი უნდა ყოფილიყო და არც ცუდი ზნის პატრონი. სხვა პადისში კი წერია: “ყოველ დილას ციდან ორი ანგელოზი ჩამოდის. ამათგან ერთი ღმერთს სოხოვს, რომ დააჯილდოვოს ის, ვინც ოჯახს არჩენს, ხოლო მეორე ანგელოზი სოხოვს ღმერთს, წაართვას ქონება ძუნწს.” (ბუჭარი, ზექათ, 27)

შუამავალი ასევე ბრძანებდა: “არ იყოთ ძუნწები, რადგან თქვენამდელი ხალხები სწორედ სიძუნწის გამო გადაეკიდნენ ერთმანეთს და განადგურდნენ.” (მუსლიმ, ბირრ, 56)

ამ პადისით ნაჩვენებია თუ რა სოციალური პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს სიძუნწემ. მდიდრებმა რომ თავიანთი ფული ქველმოქმედებაში არ გამოიყენონ, სხვებს არ დაეხმარონ, ამით ისინი დარიბი ფენისგან უკიდურეს სიძულვილსა და ბრაზს მოიმკიან. ამრიგან საზოგადოების სიმშვიდე დაირღვევა. არადა მდიდარმაც და დარიბ-

საქონლის მოხმარება და ზედამხედველობის

მაც რომ სწორად მოიქცნენ და თავიანთი პასუხისმგებლობა იგრძნონ, ასე არ მოხდება. მდიდარმა უნდა გასცეს თავისი ქონების ნაწილი და ამგვარი ვალისგან გათავისუფლდეს, ხოლო ღარიბმა უნდა დაუფასოს მათ ეს მზრუნველობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი სიმშვიდის შენარჩუნება შეუძლებელი გახდება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიძუნწის გრძნობის მთლიანად გაქრობა შეუძლებელია, რადგან სიძუნწე ადამიანის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს ისრას სურას მე-100 აიათი. ამიტომ უმჯობესია ამ გრძნობის გაკონტროლებაზე ზრუნვა.

“უთხარი: „თქვენ რომ ჩემი უფლის მოწყალების საგანმურს ფლობდეთ, მაინც იძუნწებდით გადატაკების შიშით, რამეთუ ადამიანი ძუნწია!“

ხელგაშლილობას რაც შეეხება, ეს არის ზომიერებისა და ლეგიტიმურობის ჩარჩოებში, შესაძლებლობების გათვალისწინებით სხვებზე უანგაროდ დახმარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელგაშლილობა ზღვარსგადასულობასა და სიძუნწეს შორის მყოფი რამაა. ამ ორ უკიდურესობას შორის ოქროს შუალედი. ყურანი მოუწოდებს მორწმუნებს, რომ ამ ორივე უკიდურესობას მოერიდონ და ზომიერება გამოიჩინონ. (იხ.

სურა ისრა 29, სურა ფურყანი 67)

შუამავალი ხელგაშლილი ადამიანების მიმართ ბრძანებდა: “ხელგაშლილი ადამიანი ღმერთთან ახლოსაა. ის ადამიანებთან ახლოსაა. ის სამოთხესთან ახლოსაა და ჯოჯოხეთისგან შორს დგას. ძუნწი ადამიანი ღმერთისგან, ადამიანებისგან, სამოთხისგან შორსაა და ჯოჯოხეთთან კი ახლოს.” (თირმიზი, ბირრ 40)

მოკლედ რომ ვთქვათ, ის ადამიანები, რომლებიც სიძუნწის კლანჭებს თავს დააღწევენ და ხელგაშლილი გახდებიან, გადარჩებიან. (იხ. სურა ჰაშრი 9, სურა თელაბუნი 16) ღმერთს უყვარს ხელგაშლილი და სძულს ძუნწები. ძუნწი ივიწყებს, რომ ყველა იმ ფულის და ქონების ნამდვილი პატრონი და მბოძებელი ღმერთია. შესაბამისად ის არც გაჭირვებულებს გაიკითხავს და არ დაეხმარება.

ამრიგად, მორწმუნე ადამიანი ძუნწი არ უნდა იყოს და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ზღვარსგადასულობის გარეშე ფული უნდა მოახმაროს ჯერ საკუთარ ოჯახს და ამასთანავე დაეხმაროს დარიბ ადამიანებს. ყურანში ნაბრძანებია:

“იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ

საქონლის მომდინარება და ზღვისუფლების

გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაპს არ უყვარს უკეთურნი! (სურა ყას-სას 77)

8. ხარჯის ზომიერების დაცვა

ისლამის დაგროვებაზე მეტად მისი გამოყენებისკენ მოგვიწოდებს. თუმცა ის გმობს როგორც ზღვარსგადასულ ხარჯ-ვას, ისე სიძუნწემდე მისულ მომჰირნეობას. ღმერთმა ყველაფერი ზომიერების ფარგლებში გააჩინა და შესაბამისად ყველაფერი, მათ შორის ხარჯვაც ზომიერების ფარგლებში უნდა იყოს. (იხ. სურა ყამერ 49)

ყურანში ნაბრძანებია:

“ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწოდენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის,” (სურა ფურყანი, 67)

“და ნუ იქნები ხელმომჭირნე და ნურც გაშლი მას ბოლომდე, თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!” (სურა ისრა 29)

იგივე სურას 26-ე და 27-ე აიათებში ღმერთი ხარჯვისას ზომიერებისკენ მოგიწოდებს:

“და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, ღა-ტაქსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!

უეჭველად, მფლანგველები ეშმაკის ძმები არიან, ხოლო ეშმაკი უმადურია თავისი ღმერთის წინაშე.”

სარჯვისას ეკონომიურობის და ზომიერების დაცვა შემდეგ აიათებშიცაა ნაბრძანები. ღმერთის მიერ ნაბოძები წყალობის ზომიერების პრინციპის დარღვევის გარეშე, ლეგიტიმურ ჩარჩოებში დახარჯვა მისაღები და სასურველია:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაპმანება მოგცათ თქვენ, მაგრამ არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, ალლაპს არ უყვარს ზღვარგადასულნი.

და ჭამეთ რაც რამ გიბოძათ ალლაპმანებადართული და საამო. გეშინოდეთ ალლაპისა, რომლისაცა მოწამენი ხართ თქვენ?” (სურა მაიდე 87-88)

როგორც აიათიდან ჩენს ღმერთს სურს ჩვენგან, რომ მის მიერ ბოძებული წყალობა ზომიერების ფარგლებში მოვისმაროთ. ამასთანავე ის გვიკრძალავს ზღვარსგადასულობას და ასევე ზედმეტად მომჟირნეობას, რაც სიძუნწეში გამოიხატება.

ისლამი მოუწოდებს ადამიანებს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერი საკითხის მიმართ იყონ ზომიერები და ეს ეხება ფულის ხარჯვასაც. ამიტომ ნათლად

საქონლის მოხმარება და ზედომუნიფერაცია

არის მითითებული, რომ მიუღებელია ზღვარსგადასული ხარჯვა და მფლანგველობა და ასევე აკრძალულია ზღვარსგადასული მომჭირნეობა და სიძუნწე. ამგვარი ეკონომიური ზომიერება ხარჯვასთან დაკავშირებული ქცევის ერთ-ერთი მთავარი აუცილებლობაა. ამგვარი ოქროს შუალედის დაცვა ადამიანის ცხოვრების ერთგვარი გარანტიაა.

შუამავალი ბრძანებდა: “ვინც ეკონომიურად ხარჯავს, თავის რჩენა არ გაუჭირდება”. (ქენზულ უმმა, 3, 49) თვითონაც ცხოვრების ყველა სფეროში მოკრძალებულ და ზომიერ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა.

ხარჯვისას ზომიერების საზომი ჰალალი და ლეგიტიმური საჭროებების დაკმაყოფილებისთვის ხარჯვაა. ამ თვალსაზრისით ადამიანის მდგომარეობა, ადგილი, დრო და სხვა პირობების განსხვავებებულ მდგომარეობას წარმოქმნის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ადამიანი გონივრულად და ზნეობრივად უნდა მოიქცეს.

II...და ბოლოს

მატერიალური და სულიერი წყალობა დმერთის მიერაა ნაბოძები, ამიტომ მათი გამოყენებისას გონივრულობა და შესაბამისობა უნდა დავიცვათ. ყოველმა მორწმუნებ უნდა გაითვალისწინოს არაფას სურას 27-ე და ისრას სურას 31-ე აიათები, სადაც ნაბრძანებია, რომ დმერთს ზღვარსგადასულნი

არ უყვარს. ღმერთის სიყვარულის გარეშე რომ არ დავრჩეთ და სატანის მეგობრებად არ შევიქმნათ საჭიროა ყურადღება მივაჭციოთ აიათებს და ზომიერება დავიცვათ.

რაც შეეხება პარამ გზებს, მათ საერთოდ უნდა მოვერიდოთ და ყოველგვარი მოხმარებისგან თავი უნდა შევიკავოთ. პალალი რაცაა უნდა გამოვიყენოთ, შევიძინოთ, მაგრამ აქაც ზმომიერებაა საჭირო. არც საჭიროზე ნაკლები და არც ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს.

ყოველგვარი დანახარჯის გაღებისა და ვაჭრობისას პალალს და პარამს ყურადღება უნდა მიექცეს. რაიმის შეძენის დროს მიზანი საჭიროების დაკმაყოფილება უნდა იყოს და არა ფუფუნება ან სხვების საჩვენებლად თავის მოწონება.

ხარჯვა შემოსავლის მიხედვით უნდა განაწილდეს და შემოსავალზე მეტი დანახარჯისგან თავი უნდა შევიკავოთ. ეს რელიგიურის გარდა ეკონომიკის წესების მოთხოვნილებაცაა.

ყველა ის საქონელი და ფული, რაც ადამიანს გააჩნია არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღმერთის წყალობაა. ამიტომ მონაგებიდან დარიბებს და სხვა სახის გაჭირვებაში ცავარდნილ ადამიანებსაც უნდა დავეხმაროთ.

ქონება და ფული ისე არ უნდა გამოვიყენოთ, რომ საზოგადოება დაზარალდეს.

საქონლის მოხმოვნება და ზედამხურებელთა მიერთება

ჩვენი მოგების მიზნით ადამიანების ჯანმრთელობის, ფინანსური მდგომარეობის, ბუნებაზე ზიანის მიუენების და სხვა მსგავსი ნებატიური შედეგების მომტანი ქცევებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

ყველა მუსლიმმა უნდა იცოდეს, რომ ქონების ზღვარსგადასული ხარჯვა ან ზექათის მსგავსი სოციალური ვალდებულების შეუსრულებლობა საიქიოში ადამიანის განკითხვის საგანი გახდება და ამის გამო პასუხი მოეთხოვება. (იხ. სურა თექასური 8)

ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საზოგადოების და გაჭირვებული ადამიანების მიმართ ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ გვინდა ღმერთის სიყვარული დავიმსახუროთ და როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად ბედნიერები ვიყოთ, ისლამის მიერ დადგენილი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და ეს უნდა ეხებოდეს ქონების განკარგვის სფეროსაც. ღმერთის მიმართ თაყვანისცემა და ნამდვილი მორწმუნეობა გულისხმობს არამარტო ღვთისმსახურების შესრულებას, როგორიცაა ლოცვა, ზექათი, მარხვა, პაჯი და სხვა, ისე სხვა ნებისმიერი სახის სასურველი და ღვთით დადგენილი პრინციპებით ცხოვრებას. ისლამის პრინციპების მიხედვით წარმოება და მოხმარებაც ფართო გაგებით ღვთისმსახურებად ითვლება.